

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის**

ოქმი № 4

ქ. ლანჩხუთი

22.11.2021 წელი

12.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**;

კომისიის წევრები: ზაალ სანაძე, კარლო კვიტაიშვილი, კახა თედორაძე, ბესიკ კუპრაძე, ამირან ქანთარია, ამირან გიგინეიშვილი, რეზო კვაჭაძე.

სხდომას ესწრებოდა: მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი **თამარ ფირცხალაიშვილი**; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშია**. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე**. საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **რუსუდან გვარჯალაძე**, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი**.

სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ე. თევდორაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ე. თევდორაძე/

3. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ - ემზარ თევდორაძემ. მან აღნიშნა, რომ 2022 -2025 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ დეტალურად განიხილა პრიორიტეტების დოკუმენტი. მან აღნიშნა, რომ ძირითადად პრიორიტეტის დოკუმენტში მიმართულებები არ იცვლება, მაგრამ ხდება გარკვეული კორექტირება. 2022 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის ძირითადი პრიორიტეტია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც ძირითადად განაპირობებს შემდეგ სხვა სტრუქტურების განვითარების ხელშეწყობას.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2022-2025 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მაჩვენებლების შესაბამისად (2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) 2022 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,8 პროცენტით. მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები საგადასახადო შემოსავლები საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს. 2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 13174,5 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 847,7 თასი ლარით (6,9 %-ით).

2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9281,9 ათასი ლარით; 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 13,0 %-ით (1070,8 თასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1000,0 ათას ლარს; 2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 500 ათასი ლარით არის შემცირებული, რაც გამოწვეულია უცხურ საწარმოთა ქონების გადასახადის შემცირებით.

2022 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 245,0 ათასი ლარით, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 245,0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინანსებაზე; 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 45 თ ლარით გაიზარდა (11,3%-ით).

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 110,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: რენტა 110,0 ათასი ლარი; 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 50,0 ათასი ლარით. შემცირება გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის შემცირებით (სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით).

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 73,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 13,0 ათასი ლარი; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 50,0 ათასი ლარი; აღნიშნული შემოსავლები 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2464,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 6,0 % - ით.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 10,3 ათასი ლარს; ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათ.ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 13434,8 ათას ლარს (2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1110,3 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

ემზარ თევდორაძე დაინტერესდა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის რა თანხებია მიმართული და რა თანხაა გამოყოფილი 5%-იანი თანადაფინანსებისთვის. ასევე ზამთრის პერიოდი გამოვიყენოთ პროექტების შესამუშავებლად.

როლანდ ლაშხიამ განაცხადა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება თუ რა თანხა იქნება გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის. ხოლო პროექტებისთვის და ექსპერტიზის დასკვნებისთვის გამოყოფილია 780 000 ლარი.

მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელმა თამარ ფირცხალაიშვილმა წარმოადგინა 2022 წელს განსახორციელებელი სოციალური პროგრამა, რომელიც 24 ქვეპროგრამით არის წარმოდგენილი და - 745,0 ათასი ლარითაა განსაზღვრული;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1244,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -14,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდობის ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 915,0 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 170,0 ათასი ლარი;

/ ათასი ლარი/

ბიკარბონატული ჰელოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი	36.8
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	40.0
სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	92.0
ცენტრ „ივანანას“ თანადაფინანსების პროგრამა	15.0
მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	15.0
მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	130.0
იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	15.3
ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	57.0
მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	80.0
„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა	40.2

მშპ-ს ავტორიტეტის პირობებში უზრუნველყოფისა და სტრუქტურული მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	25.0
„კატარონი“ მოგვლენების სარეაბილიტაციო პროგრამა	2.5
კრიავერადი სოციალური დახმარების პროგრამა	40.0
მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა	30.0
მშპ-ის სტატუსის მქონე ბენეფიციარის სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	15.0
ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ზემოთა რეაბილიტაციის პროგრამის კვებოგრამით მოსაგებლე მშპ-ს ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	30.0
განვითარებული თანამშრომლის უზრუნველყოფისა და ოჯახში მალადონის აღმოჩენის ხელშეწყობა	3.0
სახელმწიფო სერვისის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა	5.0
მინდობის აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დახმარება განხორციელებულიყო კრიავერადი დახმარების პროგრამა	4.0
0-დან 18 წლამდე დედინაირი ოსოლ ბავშვების და მშპ-ს ბავშვების, რომელიც არის ოსოლი ერთჯერადი სოციალური (ჯეულადი) დახმარების პროგრამა	2.0
ცოცხალი დაფინანსება (18 წლამდე ასაკის) კვებითი დახმარებით ერთჯერადი პროგრამა	3.8
ეკონომიკური სექტორის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	33.6
კოვიდ-19-ის ეფექტურობა და მართვით კონტაქტის მქონე პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა	25.0

საინსაბურის ხელისუფლებამ ასევე განაცხადა, რომ „კატარონი“ სექტორის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“-ში და „კატარონი“ სექტორის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“-ში გაიზარდა ტრანსპორტირების ხარჯები. ასევე „0-დან 18 წლამდე დედინაირი ოსოლ ბავშვების და მშპ-ს ბავშვების, რომელიც არის ოსოლი ერთჯერადი სოციალური (ჯეულადი) დახმარების პროგრამა“.

„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით“ მასარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა შემცირდა და აღედგინა გამოდინარე დაფინანსება შესაბამისად გაიზარდა.

წარმადგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.


კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს: მომხრე მ: წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ ისაუბრა გარე განათების ნაბიჯების პრაქტიკაზე, რომლებიც ძალიან ხშირად იწვევს და დააყენა საკითხი, რომ შეიძლება შექმნილიყო მოგვარდეს ეს პრობლემა. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ეს პრობლემა სუბიექტურად მოსაგვარებელია.

ამით კომისიის სხდომამ დასრულდა.

დამწესობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალური საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №3 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი

22.11.2021 წ.

2021 წლის 22 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა. სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:


დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის სხდომას განსახილველად.





ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
22.11. 2021 წელი
12.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ემზარ თევდორაძე	12 ⁰⁰	
2. გარლო კვიტაიშვილი	11.55	
3. გოდერძი ქურიძე	—	მ. ესხეზიძე
4. კახა თედორაძე	12 ⁰⁰	
5. რეზო კვაჭაძე	12 ⁰⁰	რ. კვაჭაძე
6. ზაალ სანაძე	11.59	
7. ზესიკ კუპრაძე	11.57	ბ. თოქ
8. ამირან ჭანთარია	12 ⁰⁰	
9. გიორგი გვარჯალაძე	—	მ. ესხეზიძე
10. რეზო კვერენაშვილაძე	—	მ. ესხეზიძე
11. ელისო ჭიჭინაძე	—	მ. ესხეზიძე
12. ამირან გიგინეიშვილი	12 ⁰⁰	
13. ლელა ჩახვაძე	—	მ. ესხეზიძე
14. ცისანა ურუშაძე	—	მ. ესხეზიძე